



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სამართლის სკოლა

| | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | Law |
| უმდლესი აკადემიური განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | რეგულირებადი |
| სწავლების ენა | ქართული, ინგლისური კომპონენტებით |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი | (06) |
| ქართულად: | სამართლის მაგისტრი |
| ინგლისურად: | Master in Law |
| პროგრამის დამტკიცების თარიღი | 07.08.2009 |
| პროგრამის განახლების თარიღი | 17.03.2020 |
| პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი | ვახტანგ ზაალიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. არჩილ ჩოჩია, ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა |

მოცულობა კრედიტებით

სამართლის სკოლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - არა უმეტეს 75 ECTS კრედიტს, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ისე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

სამართლის სკოლის მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 7 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც მაგისტრანტმა შეიძლება, დააგროვოს „დამატებითი კრედიტები, რომლის რაოდენობა, განისაზღვრება ამ მუხლის წლიური ზღვრული კრედიტების მაჩვენებლის ფარგლებში“.

სამაგისტრო პროგრამა შედგება თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული და კვლევითი კომპონენტისაგან, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (70 ECTS კრედიტი), პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართულ კომპონენტს (10 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (40 ECTS კრედიტი).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადის (2 წელი) დასრულების შემდეგ სათანადო თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს დაასრულოს მაგისტრატურაში სწავლა მომდევნო ექვსი სემესტრის განმავლობაში. ყოველი ასეთი სემესტრის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება სემესტრში ასათვისებელი კრედიტებიდან გამომდინარე, ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებული წლიური გადასახადის მიხედვით. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადებში სრულად წარადგენს საბუთებს და აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დაიშვება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ან/და გასაუბრებაზე.

მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდას ან/და გასაუბრებაზე გადის სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილ მიმღებ კომისიაში. (იხ. მაგისტრატურის დებულება, ვებ.გვერდი)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|--|--|
| <p>პროგრამის მიზანი</p> | <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:</p> <ul style="list-style-type: none"> • კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლისა და შედარებით სამართალმცოდნეობის სფეროში; • ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ. • გააცნოს თანამედროვე ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის ტენდენტციები. <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიქცევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; • სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა თანმხლები უნარები; • სამართლის სფეროში პრობლემების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და დამოუკიდებლად გადაჭრის, მსჯელობის, დასაბუთების, პრაქტიკული თუ თეორიული-დოგმატური ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; • სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას ლიბერალური ღირებულებების, ამასთან, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების ურთიერთდაბალანსებისა და დაცვის უნარი; • დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი; • ეთიკური ღირებულებების შემეცნებისა და მათი ანალიზის უნარი; • თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების უნარი. |
| <p>პროგრამის სწავლის შედეგები</p> | <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, საკუთარი არჩევანის მიხედვით, აქვს ჩამოთვლილ ქვე-დარგთა სიღრმისეული, სისტემური ცოდნა და თანმხლები ზოგადი უნარ-ჩვევები.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული გაიღრმავებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p>ზოგადი კომპეტენციები:</p> <p>ანალიტიკური, პრობლემის გადაჭრისა და კვლევითი უნარები, საკუთარი პროფესიული აუცილებლობების შეფასებისა და განვითარების უნარი, აგრეთვე მეცნიერულ დონეზე კომუნიკაციის უნარი; ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი, განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების უნარი, საერთაშორისო გარემოში მუშაობისა და პროფესიულ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევის უნარი.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> |

- აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ეროვნულსაგან განსხვავებული სიბრტყეში ხედვის შესაძლებლობას;
- გაცნობიერებული აქვს კერძო, სისხლის, საჯარო სამართლის სფეროსათვის, ასევე შედარებით სამართალმცოდნეობასთან ასოცირებული კონცეპტუალური და პრაქტიკული პრობლემები, შეუძლია მათი გადაჭრის გზების ძიება;
- შერჩეულ კონცენტრაციაში აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს მას ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისა და გლობალურად, დინამიკურად ცვალებად გარემოში იურისტის როლის გაცნობიერების საშუალებას, ასევე პრობლემათა გადაწყვეტის პროცესში საკუთარი ღირებული წვლილის შეტანის შესაძლებლობას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კლასიკური განმარტების მეთოდებისა და ინტერდიციპლინური ანალიზის საფუძველზე, შეუძლია კერძო-სამართლებრივი, სისხლის-სამართლებრივი, საჯარო-სამართლებრივი ან შედარებით სამართალმცოდნეობის პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;
- შეუძლია, როგორც არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში ისე, ზოგადად, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- დასმულ პრობლემათა ირგვლივ ადგილობრივი და უცხოელი კლიენტებისათვის კვალიფიციური კონსულტაციების გაწევა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება არჩეული კონცენტრაციის მიმართულებით.

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზების, სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებისა და დოქტრინის მრავალფეროვანი მიდგომებისას), კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გააჩნია დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; აქვს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, განხვავებული შინაარსობრივი შიგთავსის ინოვაციური სინთეზის უნარი;

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და უცხოურ ენაზე გაუზიაროს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.
- შეუძლია ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში და დაიცვას საკუთარი, თუ კლიენტის პოზიციები.

სწავლის უნარი

- თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აქვს პროფესიული თვითგანვითარების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი;
- პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, აქვს უახლეს

| | |
|--|---|
| | <p>მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • ფლობს სამართლებრივი მონაცემების მოპოვებისათვის აუცილებელ ინსტრუმენტებს და შეუძლია მათი ეფექტიანი გამოყენება. <p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> • გაცნობიერებული აქვს, პიროვნული თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების, სოციალური ღირებულებების, სამართლიანობის პრინციპები; ისწრავის მათი პრაქტიკული რეალიზაციისაკენ როგორც პროფესიულ, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. • გაცნობიერებული აქვს პროფესიული ეთიკისა და ზოგადი მორალის მნიშვნელობა, იცავს მათ საქმიანობის პროცესში. |
| <p>დასაქმების სფეროები</p> | <p>სამართლის მაგისტრს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.</p> <p>სამართლის მაგისტრს შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი აკადემიური კვლევა ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.</p> <p>სამართლის მაგისტრი მომზადებულია მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად.</p> <p>სამართლის მაგისტრს შეუძლია საქმიანობა მულტიკულტურულ პროფესიულ გარემოში დაწესებულების მოქმედების ტერიტორიული არეალის მიუხედავად.</p> |
| <p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p> | <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.</p> |

| | |
|--|--|
| <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p> | |
| <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ➤ ყოველკვირიულ შეფასებას; ➤ ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მომზადებული პროექტის შეფასებას პრეზენტაციის სახით, ან იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას; ➤ შუა სემესტრულ შეფასებას; ➤ დასკვნით შეფასებას. <p>სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიითი (კაზუსი, ღია კითხვები, ესე და ა.შ.) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.</p> | |

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინაციაზე დამყარებული ინტერაქტიული სწავლება ემსახურება სტუდენტის დამოუკიდებელი განვითარების ხელშეწყობას, რაც სამართლის უზენაესი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების დახვეწასა და ღირებულებების შემცენებას ისახავს მიზნად.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- პრეზენტაციებისა და დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატების წარმოების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი;

- თანამშრომლობითი (**cooperative**) სწავლება;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი (**Case study**), იგივე თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება;
- გონებრივი იერიში (**Brain storming**);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა;
- საექსპერტო კვლევის მეთოდი;
- გონებრივი განტოტვა;
- გამოცდილებითი სწავლების მეთოდი;
- თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი;
- რაპორტის შედგენა.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

პროგრამის სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის აღწერა | სავალდებულო/ არჩევითი | ECTS კრედიტი | სწავლების სემესტრი |
|--|--|--------------------------|-----------------|-----------------------|
| Legal English | <p>In the framework of the Course students will be introduced to the various aspects of legal English. The course will give a complex overview of how legal English was developed, what sources are mainly applied to understand the basic ideas of legal English. Students also will get familiar with characteristics of legal English like what makes it difficult and why it is important.</p> <p>Getting familiar with the English used in various parts of various types of the contracts is essential to have the door of legal practicing to be opened for one.</p> <p>The general skills of precise writing and the clarity will be also vastly examined.</p> | სავალდებულო | 6 | I |
| აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები | <p>სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებისთვის საბაკალავრო საფეხურზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება აკადემიური წერის ძირითადი პრინციპებსა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებში. სასწავლო კურსის ფარგლებში, ძირითადად აქცენტირებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შექმნის წესები, მეთოდები და პრინციპები. გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე ის თავისებურებანი, რაც განასხვავებს სამაგისტრო ნაშრომს სწავლების სხვა საფეხურებზე გათვალისწინებული ნაშრომებისგან.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად საჭირო აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს სტუდენტები შეისწავლიან სამართლებრივი კვლევისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. საწყის ეტაპზე სტუდენტები დაეუფლებიან ზოგადად აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას, ხოლო შემდეგ ეტაპზე თანმიმდევრულად იქნება განხილული სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სხვადასხვა საფეხურები მოსამზადებელი ეტაპიდან - საბოლოო საფეხურამდე. სამაგისტრო ნაშრომის შექმნისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს სტუდენტები განივითარებენ როგორც ლექცია-სემინარების ინტერაქციულ ნაწილში და დისკუსიებში მონაწილეობის საშუალებით, ასევე პრაქტიკული დავალებების შესრულების გზით. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები მომზადდებიან იქნებიან სამაგისტრო ნაშრომის შექმნისთვის.</p> | სავალდებულო | 6 | II |

| | | | | |
|--|---|-----------------------|---|-----|
| International Law of Treaties (Theory and Practice) | <p>Modern law of international treaties is systemically reviewed and studied with 1969 Vienna Convention on the Law of Treaties (VCLT) serving as a point of reference. The current Convention practice evolving through this day is made instrumental for the in-depth understanding of law of international treaties and especially its concepts and terms.</p> <p>In this context modern trends and challenges of law of international treaties, such as subsequent practice, informal and formal changes of international treaties will be addressed and subjected to a thorough scrutiny.</p> | არჩევითი ¹ | 5 | III |
| Private International Law and International Civil Procedures | <p>Private International Law is an essential part of national private law system regulating private legal relations with foreign element. The course deals with three major issues: 1) jurisdiction of court (when a domestic court has jurisdiction over disputes involving foreign element); 2. Applicable law (rules determining the substantive norms of which legal system should be applied to regulate a particular case); 3. Recognition and enforcement of foreign court decisions.</p> <p>All the issues will be discussed in a comparative context with the special reference to harmonized and unified European private international law as well as German, Swiss and common law models.</p> | არჩევითი | 5 | III |
| International Criminal Law: Theory and Practice | <p>International Criminal Law Theory and Practice Course includes international criminal justice issues. During the course, students will be given broad and in-depth knowledge of international criminal conceptual issues. Within the course, it will be important to analyse the decisions of the International Criminal Court and Tribunals on the following questions: (1) the concept of international crime; (2) The difference</p> | არჩევითი | 5 | III |
| შედარებითი კერძო სამართალი | <p>შედარებითი კერძო სამართლის მნიშვნელობა და ადგილი სამართალმცოდნეობის სისტემაში, განვითარების ისტორია, სამართლებრივი ოჯახის არსი და წარმოშობის პერიოდი, უნივერსიტეტების ზოგადი სამართალი, ეროვნული და რეგიონალური სამართალი, კოდიფიკაცია, კოდიფიკაციის ღირსებები და უარყოფითი შედეგები, საკანონმდებლო პოზიტივიზმი და იურიდიული ნაციონალიზმი, სამართლის სტრუქტურა, სამართლის ნორმა, კანონი, ჩვეულება, სასამართლო პრაქტიკა, დოქტრინა, ზოგადი პრინციპები, რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსონური სამართლის ისტორია და მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, თავისუფლება და იძულება სახელმეკრულებო სამართალში, ქმედუნარიანობა, ოფერტი და აქცეპტი</p> | არჩევითი | 6 | I |

¹სტუდენტი ვალდებულია სამი ინგლისურენოვანი საგნიდან აირჩიოს ერთი (International Law of Treaties (Theory and Practice), Private International Law and International Civil Procedures, International Criminal Law: Theory and Practice)

| | | | | |
|---|--|-----------------|----------|----------|
| | <p>(გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ს მაგალითზე), ხელშეკრულების განმარტება, შეცდომის, მოტყუების, მუქარის საკითხები რომანული და საერთო სამართლის ქვეყნებში, წარმომადგენლობა, ცესიის ინსტიტუტი საერთო სამართლის ქვეყნებში, პასუხისმგებლობა პიროვნების უფლების დარღვევისათვის, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, საკორპორაციო ურთიერთობები სამართლებრივ სისტემებში, საოჯახო დაცემკვიდრებითი სამართლებრივი ურთიერთობები სამართლებრივ სისტემებში.</p> | | | |
| <p>სამოქალაქო სამართლის პროცესი - შედარებთსამართლებრივი ასპექტები</p> | <p>კურსი შეისწავლის საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის შედარებით-სამართლებრივ ასპექტებს, გერმანული სამართლის გავლენის შედეგად ქართულ სამართალში ჩამოყალიბებული რეგულირებების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესწავლილი იქნება ცალკეული საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტები, დოქტრინალური მიდგომები და სასამართლო პრაქტიკა. ყურადღება კონცენტრირებული იქნება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე და თითოეული საპროცესო ინსტიტუტი შეისწავლება სწორედ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივის გათვალისწინებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სამართალწარმოების ძირითადი პრინციპების საფუძვლიან გააზრებას. ფორმალური დანაწესების მნიშვნელობა წარმოჩინდება პრაქტიკული მაგალითების განხილვით, საპროცესო უფლება-მოვალეობებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, აქცენტი გაკეთდება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონსტიტუციური უფლების რეალიზებაზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რაც ხელს შეუწყობს საპროცესო დანაწესების სისტემურ გააზრებას. სამართალწარმოების დადგენილი პროცედურა შეისწავლება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა განხორციელებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების ერთობლიობა.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |
| <p>თანამედროვე საკორპორაციო სამართალი</p> | <p>სასწავლო კურსი მოიცავს თანამედროვე სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხებს. კურსი აგებულია, ერთი მხრივ, ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ მიდგომებზე და მეორე მხრივ, იმ საერთაშორისო დონის სამართლებრივ მოწესრიგებებსა და პრაქტიკაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე კურსი ძირითადად დაფუძნებულია თანამედროვე</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |

| | | | | |
|--|--|----------|---|----|
| | ტენდენციებზე, რომელიც გავლენას ქართულ კანონმდებლობასა და ზოგადად ქართულ ბიზნეს სამართალზე ახდენს. დახასიათებული იქნება საკორპორაციო სამართლის მიზანი, ბუნება, ამოცანა, საკორპორაციო სამართლის პრინციპები და მათი ასახვა პრაქტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. კურსის მიზნებისთვის მოხდება პრაქტიკული მაგალითების, უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებების შესწავლა. | | | |
| საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა | მოცემული სამაგისტრო კურსის მიზანია მისცეს მაგისტრანტს საბანკო სამართლის სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა შესაბამისი სპეციალიზაციის მიხედვით, რის შედეგადაც იგი შესძლებს მიღებული კვალიფიკაციით იმუშაოს დამოუკიდებლად. სტუდენტი გაეცნობა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საბანკო სამართლის აქტუალურ საკითხებზე კონკრეტული საქმეების მაგალითებზე. მოცემული საკითხები შეეხება საბანკო კრედიტების და მათი უზრუნველყოფის საშუალებებს, გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ ასპექტებს. ასევე კურსის ფარგლებში განხილულია საბანკო სამართლის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართლის ჭრილში, სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე კონცეფციებს და მიდგომებს საბანკო სამართლის აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში. | არჩევითი | 6 | I |
| შედარებით სანივთო სამართალი | შედარებითი სანივთო სამართლის კურსის მეშვეობით ხდება ქართული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების სანივთო სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლას ურთიერთშედარების გზით. განსხვავებული სამართლებრივი სისტემების ანალიზის საფუძველზე დგინდება ქართული სანივთო სამართლის ადგილი ამ სისტემაში. შესაბამისად დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა. მოცემული კურსი შეიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო და თეორიულ კომპონენტებს. გარდა დისკუსიებისა, კურსის შესწავლისას სტუდენტი წარმოადგენს ასევე პრეზენტაციას. | არჩევითი | 6 | I |
| ინტელექტუალური საკუთრების სამართალი და სასამართლო პრაქტიკა | სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტების მიერ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში საბაკალავრო საფეხურზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ცალკეული სფეროები განხილული იქნება შემდეგი თანმიმდევრობით: საავტორო უფლება, პატენტი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა. თითოეული სფეროს განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კერძო პირის | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|-----------------|----------|-----------|
| | <p>ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასა და, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესების დაცვას შორის. გარდა თეორიული მასალისა და ნორმატიული აქტების შესწავლისა, სტუდენტებს აგრეთვე მიეცემათ შესაძლებლობა, რომ შეისწავლონ თითოეულ სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.</p> | | | |
| <p>სახელშეკრულებო ვალდებულებები და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>წინამდებარე სასწავლო კურსის პროგრამა, პირობითად, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი შეეხება და აღრმავებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი კურსის ფარგლებს მიღებულ ცოდნას ხელშეკრულებათა შესახებ ზოგადი დებულებების თაობაზე, რაც გამოიყენება სპეციალური წესის არარსებობისას ყველა ტიპის ხელშეკრულებისათვის ისევე, როგორც ატიპიური ხელშეკრულებების მიმართ; მეორე ნაწილი კონცენტრირდება კერძო ტიპის ხელშეკრულებებზე რომლებიც განსაზღვრული საერთო ნიშნითაა დაჯგუფებული, რაც საშუალებას იძლევა ურთიერთმედარების გზით უკეთესად წარმოჩინდეს მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები; ეს მიდგომა მართებული კვალიფიკაციის განხორციელებისთვის აუცილებელ წინაპირობათა უკეთესი გააზრების საშუალებას ქმნი. კურსის ორივე ნაწილი წარმოდგენილია შედარებით-სამართლებრივ ჭრილში. მისი მსვლელობისას განხილული და გაანალიზებული იქნება თითოეულ ინსტიტუტთან დაკავშირებული უცხოური და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |
| <p>კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი: საზიარო უფლებები; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება; უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი.</p> <p>აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის შესახებ ზოგად დებულებებს, კანონისმიერი ვალდებულებას, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველს; საზიარო უფლებების მნიშვნელობას; საზიარო საგნის მართვისა და განკარგვის თავისებურებებს; სარგებლობის წილზე უფლების შემცირების დაუშვებლობას; საზიარო უფლების გაუქმებას; ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების თავისებურებებს; საზიარო უფლებასა და სოლიდარული ვალდებულებას; უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ზოგად დებულებებს; უსაფუძვლო გამდიდრების ვალდებულების კლასიფიკაციას; ხელყოფის შედეგად უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი რეგულირებას; სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ნიშნებს, სახეებსა და შედეგებს; უსაფუძვლო გამდიდრებასა და ქონების ფლობის კეთილსინდისიერების ურთიერთმიმართებას; უსაფუძვლო გამდიდრებასა და ზნეობრივი მოვალეობების ურთიერთკავშირს; აგრეთვე, სტუდენტები შეძლებენ</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |

| | | | | |
|--|--|-----------------|----------|-----------|
| | <p>განსაზღვრონ უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები; უსაფუძვლო გამდიდრებისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები; სხვისი ვალის გადახდის და სხვა პირის ქონებაზე შეცდომით ხარჯების გაწევის შედეგები; ამასთან, განიხილება მოთხოვნათა კონკურენციის საკითხები სანივთო და კონდიქციურ სარჩელებს შორის და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. ასევე, დელიქტური ვალდებულების ცნება, წარმოშობის საფუძვლები. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება. განსხვავება სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას შორის. ზიანის ცნება. მისი სახეები. ქმედების მართლწინააღმდეგობა. მართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიანი. მიზეზობრივი კავშირი. ბრალი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ცალკეული დელიქტებისათვის.</p> | | | |
| <p>შედარებითი კონკურენციის სამართალი</p> | <p>შედარებით კონკურენციის სამართლის საგნის ფარგლებში სტუდენტებს ისწავლიან ევროკავშირში და საქართველოში არსებულ კონკურენციის სამართლის ნორმებსა და შესაბამის სასამართლო პრაქტიკას. საგანი მოიცავს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული მოქმედებებს (ე.წ. კარტელურ საქმიანობას), დომინანტი პოზიციისა და მისი ბოროტად გამოყენების სახეებს, კონცეტრაციებს, სახელმწიფო დახმარებებს, კონკურენციის ორგანოების უფლებამოსილებას კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევების მოკვლევას.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |
| <p>შრომითი დავები პრაქტიკაში</p> | <p>შრომის სამართალი, როგორც სოციალური დაცვის სპეციალური კონცეფციებისა და მექანიზმების ერთობლიობა, განსაკუთრებული ღირებულებისა და ადგილი მქონე დისციპლინა კერძო სამართლის სისტემაში. გარდა ამისა, დასაცავ ღირებულებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, სიბრტყე, რომელშიც უფლებათა დაცვა ხორციელდება, სცილდება კერძო სამართალს და სახელმწიფოს სპეციალური კონტროლის ქვეშ ექცევა საჯაროსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. ეკონომიკური განვითარების პერსპექტივისა და სოციალური ღირებულებების მართებული ბალანსის მისაღწევი მექანიზმების სასამართლოსმიერი გააზრების პესპექტივა მთავარ ღერძად მოიაზრება კურსის სწავლებისას. თემატიკა სტუდენტისთვის ნაცნობია საბაკალავრო ეტაპიდან, თუმცა აქცენტები როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შრომითი ურთიერთობები „ცოცხალი სამართლის“ მეშვეობით რეგულირების რაკურით დაისმის. პრაქტიკის არ ასებობისას, ცალკეული ინსტიტუტების შემთხვევაში მოშველიებულია უცხოური პრეცედენტები.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |

| | | | | |
|---|---|----------|---|-----|
| სამედიცინო დავების განხილვის თავისებურებანი | სამედიცინო დავები და მათი განხილვის თავისებურება სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. თავის მხრივ, ასეთი დავები სამედიცინო დელიქტს უკავშირდება. სამედიცინო დელიქტის ფარგლებში დისკუსიის საგანი სამედიცინო დამწებულების მიერ პაციენტისათვის მიყენებული ზიანი, რომლის ფარგლებშიც შედის მხარეთა მტკიცების ტვირთში შემავალი საკითხები: ბრალი; მართწინააღმდეგობა, მიზეზობრივი შედეგი დამდგარ შედეგთან. სამედიცინო დელიქტების თავისებურება სწორედ მტკიცების ტვირთში მდგომარეობს, რომელიც ერთ შემთხვევაში შესაძლოა გამომდინარეობდეს ბრალეულობის პრეზუმფციიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში დოქტრინით დამკვიდრებული გაუფრთხილებელი ქმედების შინაარსიდან. ამ კონტექსტით პაციენტის უფლებები გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ უფლება მკურნალობაზე. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, ინფორმირებული თანხმობა, ქალთა რეპროდუქციული უფლებები სისხლის დონაცია, უფლება ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე და სხვა თუმცა, მოცემული სასწავლო კურსის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია და გაიღრმავოს ცოდნა როგორც მატერიალური-სამართლებრივი ასევე პროცესუალურს-სამართლებრივი თვალსაზრისითაც, ვინაიდან სალექციო კურსის ფარგლებში სამედიცინო დავები განხილული იქნება მტკიცებულებებისა და მტკიცების ტვირთის დოქტრინასთან ერთობლიობაში. ამასთან, გაანალიზებული იქნება სამედიცინო დავებზე არსებული ეროვნული სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. | არჩევითი | 6 | II |
| მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი | კურსში წარმოდგენილია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელშეკრულებო ასპექტები. იგი უპირატესად ქართული კანონმდებლობის შესაბამისი ნაწილის სიღრმისეულ შესწავლაზეა ორიენტირებული, თუმცა უმეტესი ნაწილებისათვის გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი მეთოდი ევროპული კავშირის სამართლის პრინციპებზე დაყდნობითა და ამ სამართალთან დაახლოების პერსპექტივების გათვალისწინებით. გარდა სახელშეკრულებო ასპექტებისა კურსის ბოლოს განხილული იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის დელიქტური ჩარჩოები – ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ქართულს სამართლის ევროპული კავშირის სამართალთან დაახლოების მიზნით. | არჩევითი | 5 | III |
| საინვესტიციო სამართალი | სასწავლო კურსი მოიცავს თანამედროვე საინვესტიციო სამართლის აქტუალურ საკითხებს. კურსი აგებულია, ერთი მხრივ, ქართულ კანონმდებლობაზე, მათ | არჩევითი | 5 | III |

| | | | | |
|--|--|----------|---|-----|
| | <p>შორის ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებულ მიდგომებზე და, მეორე მხრივ, იმ საერთაშორისო დონის სამართლებრივ მოწესრიგებებსა და პრაქტიკაზე (მათ შორის, საარბიტრაჟო პრაქტიკაზე), რომელიც მოწინავე ქვეყნებსა და საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებში არსებობს. ამ თვალსაზრისით, კურსი ძირითადად დაფუძნებულია თანამედროვე ტენდენციებზე, რომელიც გავლენას ქართულ კანონმდებლობასა და ზოგადად ქართულ ბიზნეს სამართალზე ახდენს.</p> <p>კურსი ითვალისწინებს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის დეტალურ ანალიზსა და მისი პრაქტიკაში გამოყენების საკითხებს, რომლებიც საკმაოდ პრობლემური და ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საგანიც კი ხდება. ამასთან, წინამდებარე სალექციო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მიღწევაზე ICSID კონვენციაზე, ECT- ზე (ენერჯეტიკის ქარტიაზე) და NAFTA- ზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც წინამდებარე კურსი სთავაზობს სტუდენტებს არის საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმები და საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. ამასთან, სტუდენტებს მიეცემათ საშუალება უშუალოდ იმუშავონ ისეთ საკითხებზე, რომელიც პრაქტიკაში არსებობს და რაც პრობლემურია თანამედროვე საინვესტიციო სამართალში.</p> | | | |
| დაზღვევის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა | <p>დაზღვევის არსი და მნიშვნელობა; მოსახლეობის დამოკიდებულება დაზღვევისადმი; დაზღვევის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში; დაზღვევის ინსტიტუტის შექმნის ეკონომიკური და იურიდიული წინაპირობა; დაზღვევის ისტორია; დაზღვევადი და არადაზღვევადი რისკები; ძირითადი სამართლებრივი პრინციპები; სამართლებრივი რეგულირების პრინციპები; საქართველოს სამართლებრივი ბაზა ამ სფეროში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი “დაზღვევის შესახებ”; საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”; დაზღვევის სხვადასხვა ფორმების თავისებურებები და მათი არსებობის საფუძვლები; დაზღვევის სახეობების კლასიფიკაცია; დაზღვევის სუბიექტი; დაზღვევის ობიექტი; სახელმწიფოს “ჩარევა” დაზღვევის სფეროში; დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსი, მისი შემადგენელი ელემენტები; სადაზღვევო პრემია; სადაზღვევო თანხა; სადაზღვევო ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება; ფრანშიზა; სადაზღვევო რისკი; სადაზღვევო ინტერესი; დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლებები და</p> | არჩევითი | 5 | III |

| | | | | |
|--|--|-----------------|----------|----------|
| | <p>მოვალეობები; სადაზღვევო აგენტი და სადაზღვევო ბროკერი, განსხვავებები მათ შორის; მოსარგებლე დაზღვევის სხვადასხვა სახეობებში; სიცოცხლის დაზღვევის სახეები და მათი თავისებურებები; პასუხისმგებლობის დაზღვევის, როგორც დაზღვევის განსაკუთრებული ფორმის შემადგენელი ელემენტები; სადაზღვევო პრემიისა და ლიმიტების დადგენის წესები; მოსარგებლე პასუხისმგებლობის დაზღვევისას; პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება; გადაზღვევის ცნება და მნიშვნელობა; სადაზღვევო ანაზღაურების პრობლემატიკა; ზარალების დარეგულირების მექანიზმები; სახელმწიფო მაკონტროლირებელი ორგანო, მისი მოქმედების საკანონმდებლო ბაზა; სადაზღვევო კომპანიების ლიცენზირებისა და კონტროლის მექანიზმები; განხილული იქნება არსებული სასამართლო პრაქტიკა დაზღვევასთან მიმართებაში.</p> | | | |
| <p>თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის აქტუალურ საკითხებს და მის მიმართებას ქმედების ცალკეულ შემადგენლობებთან მიმართებით. დახასიათებული იქნება სისხლის სამართლის მიზანი, ბუნება, ამოცანა, სისხლის სამართლის პრინციპები და მისი გავლენა ქმედების კრიმინალისა და კრიმინალიზაციის პროცესზე. საფუძვლიანად იქნება შესწავლილი დანაშაულის ნიშნები (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მათი გამომრიცხველი გარემოებები), ასევე დანაშაულის ფორმები. კურსის მიზნებისთვის მოხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებების შესწავლა, მისი როლისა და მნიშვნელობის ახსნა სისხლის სამართლის განვითარების პროცესისთვის.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |
| <p>ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოიცავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები; განზრახ მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციისა და მისი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან გამიჯვნის პრობლემები; ძლიერი სულიერი აღელვების (აფექტის) მდგომარეობაში, აგრეთვე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობების კვალიფიკაციის პრობლემები; გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, აგრეთვე თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაციის პრობლემები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების კვალიფიკაციის პრობლემები</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |

| | | | | |
|--------------------------------|--|-----------------|----------|----------|
| | <p>სასამართლო პრაქტიკის მიხედვით; ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი სხვა დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები; საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტის (განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა) კვალიფიკაციის პრობლემები; გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების, გარყვნილი ქმედების კვალიფიკაციის პრობლემები; თავისუფლების უკანონო აღკვეთის კვალიფიკაციის პრობლემები; მძევლად ხელში ჩაგდების გამიჯვნა თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან; ტრეფიკინგის (ადამიანთ ვაჭრობის) პრობლემები; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები; ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები. სასწავლო კურსის მიზნებისთვის მოხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განალიზება და მათი კრიტიკული შეფასება.</p> | | | |
| <p>შედარებითი კრიმინოლოგია</p> | <p>შედარებითი კრიმინოლოგიის კურსი ისწავლება სამართალმცოდნეობის განხრის მაგისტრატურაში.</p> <p>კურსი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. კრიმინოლოგიის და შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება და სისტემა; 2 დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი სისტემები (Aაშშ-ს მაგალითზე).</p> <p>პირველ ნაწილში განიხილება კრიმინოლოგიის ძირითადი დეფინიციები და სამართლებრივი აზრის განვითარების პროცესი, მოცემულია დანაშაულისა და დევნიაციის განმარტებები, კონსენსუსისა და კონფლიქტის თეორიების კონცეფციები, ფელონიისა და მისდემინორის ცნებები, დანაშაულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, დანაშაულობის ინგრედიენტები და დანაშაულებრივი აქტისათვის დამახასიათებელი შვიდი ძირითადი მოთხოვნა, (მათ შორის, კრიმინალური აქტი, მართლსაწინააღმდეგობა, ზიანის მიყენება, მიზეზობრივი კავშირი, “Mens Rea”-ს აქტი), დანაშაულობის ტიპოლოგია, ინფორმაციის შეგროვების მეთოდები, კვლევის ეთიკური პრინციპები, დამნაშავის პიროვნების კვლევა: ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, რასობრივი განსხვავებები.</p> <p>დაწვრილებით განიხილება შედარებითი კრიმინოლოგიის განმარტება, Aშედარებითი კრიმინოლოგიის ისტორია; შედარებითი კრიმინოლოგიის მიმართულებები: მოსამზადებელი სამუშაო, შედარებითი კვლევები,</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |

| | | | | |
|---|--|-----------------|----------|-----------|
| | <p>სპეციალური და ემპირიული კვლევები; ცნობილი თეორიების შედარება; საერთაშორისო სტრატეგიების განვითარება; ეთიკური ფრაგმენტაციის ვერსიების გლობალიზაცია.</p> <p>მეორე ნაწილში განიხილება დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი სისტემები და რეაგირების მექანიზმები დანაშაულის ფენომენზე. წინასწარგანზრახული მკვლელობა, ძალადობა. სქესობრივი ძალადობა, ადამიანის გატაცება, ყაჩაღური თავდასხმები.</p> | | | |
| <p>სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პრობლემები</p> | <p>საგნის ფარგლებში ისწავლება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის სხვადასხვა პრობლემური საკითხები: სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებისა და სასამართლო სტადიებზე მათი მოქმედების ფარგლები; სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებების, საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსის თავისებურებანი; სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე წარმოებისას სასამართლო წესით გადასაწყვეტი საკითხები და მათთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები (judicial control), სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის საწყისი ეტაპების, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადების ტექნიკური/პროცედურული საკითხების; მტკიცებულებათა გამოკვლევის აქტუალური საკითხების; სისხლის სამართლის საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის პრობლემური საკითხების; განაჩენის დადგენის აქტუალური საკითხების; საპროცესო შეთანხმების, როგორც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ფორმის თავისებურება; განაჩენის გასაჩივრების არსისა და მნიშვნელობის, სააპელაციო სხდომის თავისებურებების, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფორმისა და შინაარსის, განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ძირითადი საკითხების, ახლად გამოვლენილი გარემოების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის პრობლემური ასპექტები.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |
| <p>შედარებითი სისხლის სამართალი</p> | <p>სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკვანძო ინსტიტუტების (სასჯელის მიზნები და სახეები, დანაშაულის ცნება და მისი ელემენტები, დაუმთავრებელი დანაშაული, თანამონაწილეობა, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები) და ცალკეული დანაშაულების შედარებით სამართლებრივ მიმოხილვას საქართველოსა და მოწინავე ქვეყნების, განსაკუთრებით აშშ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და ესპანეთისმატერიალური სისხლის სამართლის შუქზე.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |

| | | | | |
|---|--|-----------------|----------|------------|
| <p>საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება თანამედროვე სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული, საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, მოცემული იქნება საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პრაქტიკული ანალიზი; საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ ქმედებათა ანალიზი და კვალიფიკაციის საკითხები; უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და მასში მონაწილეობა, ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა, ბანდიტიზმი, როგორც ორგანიზებული დანაშაული თანაამსრულებლობის ფორმით, ქურდული სამყაროს წევრობის დამთავრებულად ცნობის საკითხი, მისი დენად დანაშაულად მიჩნევის შესაძლებლობის საკითხი; სამუშაო წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; კულტურულ ფასეულობათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხები; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულთა კვალიფიკაცია; ნარკოტიკული დანაშაული; სატრანსპორტო დანაშაული, სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავისებურებანი და მათი კვალიფიკაციის საკითხები. ქმედების კვალიფიკაცია სასიკვდილო შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში, სატრანსპორტო დანაშაულებში მკვლელობის მცდელობის დასაბუთების საკითხი არაპირდაპირი განზრახვისას; კიბერდანაშაულის კვალიფიკაციის საკითხები; სხვადასხვა საქმიანობის სფეროში გარემოს დაცვის მიზნით დადგენილი წესების ხელმყოფ ქმედებათა აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა და კვალიფიკაციის საკითხები; დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ: ცნება და სახეები. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ, ტერორიზმი, სამოხელეო დანაშაული; დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ: ცნება და სახეები; სამხედრო სამსახურში დადგენილი დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების არსი, თავისებურებანი, სამხედრო ქონების ხელმყოფი ქმედებების კვალიფიკაცია; კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საერთაშორისო და შიდასამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი, მათი ადგილი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში; ევროკავშირის კანონმდებლობა აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებით; ქართული</p> | <p>არჩევითი</p> | <p>5</p> | <p>III</p> |
|---|--|-----------------|----------|------------|

| | | | | |
|---|---|----------|---|-----|
| | კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. | | | |
| ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები. | კურსი მოიცავს შემდეგ თემატიკას: ორგანიზებული დანაშაულის ცნება და კრიმინალიზაციის პრობლემა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის ასპექტში, ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული სახეების ანალიზი და სამართალშეფარდების პრობლემები, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები, სახეები და ჩადენის ხერხები, არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები და გამომწვევი მიზეზები, ქურდული სამყაროს (ე.წ. კანონიერ ქურდობის) საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რეკეტული დაჯგუფება, მისი საქმიანობის სპეციფიკა და საკანონმდებლო რეგლამენტაცია, კორუფციული დანაშაულები, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ფულის გათეთრება და მისი მომიჯნავე დანაშაულები. ტერორიზმის სამართლებრივ-სოციოლოგიური ასპექტები, ტერორიზმის დეფინიცია და საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ორგანიზებულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურებები, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ანალიზი, ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა. | არჩევითი | 5 | III |
| ეკონომიკური დანაშაული | ეკონომიკური დანაშაული მოიცავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქურდობისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მარცვისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თაღლითობისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისება ან გაფლანგვისათვის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლისათვის, ცრუ მეწარმეობისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ფალსიფიკაციისათვის, ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონო შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოყენებისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის | არჩევითი | 5 | III |

| | | | | |
|--|---|-----------------|----------|----------|
| | <p>მოსყიდვისათვის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გამოყენებისათვის, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის, გადასახადისათვის თავის არიდებისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გულგრილობისათვის, კომერციული მოსყიდვისათვის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის. სასწავლო კურსის მიზნებისთვის მოხდება ეკონომიკურ დანაშაულებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გაანალიზება და მათი კრიტიკული შეფასება.</p> | | | |
| <p>თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის პრობლემები (შედარებითი ანალიზი)</p> | <p>სასწავლო კურსი ითვალისწინებს მაგისტრანტებისთვის კონსტიტუციური სამართლის, როგორც მეცნიერებისა და სამართლის დარგის, პრაქტიკულ, კომპარტივისტიკულ ჭრილში წარმოდგენას; ამავე დროს, ყურადღების გამახვილებას თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის დილემებზე. კურსის ფარგლებში განიმარტება ის ეფექტები, რაც თან ახლავს კონსტიტუციის უზენაესობისა და, ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციას; ქვეყანაში პარლამენტარიზმისა და კონსტიტუციური ტრადიციების გაჩენას; კონსტიტუციონალიზმის, როგორც ღირებულებათა სისტემის უშუალო კავშირს კონსტიტუციური წყობილების, რესპუბლიკური მმართველობისა და დემოკრატიის საფუძვლებთან. მაგისტრანტები პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის, ქართული გამოცდილების ანალიზის ფონზე გაეცნობიან კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრების სირთულეებს, ამ გზაზე გასავლელ ძირითად ეტაპებს, ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების თავისებურებებს, საზოგადოების სამართალცნობიერების პრობლემასა და მის კავშირს კონსტიტუციონალიზმის პრინციპების რეალიზაციასთან.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |
| <p>თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული რეალაქტი. ადმინისტრაციული ხელშეკრულება. საჯარო ინფორმაციის თავისუფლება; საიდუმლო ინფორმაციის სახეები; ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის მნიშვნელობა, აღმასრულებელი პრივილეგია, გასაჩივრების უფლება, სასამართლო იურისდიქცია. ადმინისტრაციული წარმოება</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>I</p> |

| | | | | |
|---|---|----------|---|----|
| | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა საჯარო ნივთები. საჯარო მმართველობის ავტომატიზაცია | | | |
| თანამედროვე საერთაშორისო სამართალი და მსოფლიო მართლწესრიგი. | საერთაშორისო სამართლის ისტორიული და თეორიული ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ფილოსოფია; საერთაშორისო სამართლის წყაროს ცნება და იურიდიული ბუნება; თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პრინციპების რევიზიის ტენდენცია; საერთაშორისო სამართლის სუბიექტუნარიანობის პრობლემატური საკითხები; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ოფიციალური პირების მიერ იმუნიტეტებისა და პრივილეგიების გამოყენება; საერთაშორისო სახელმეკრულებლო სამართლის აქტუალური საკითხები; საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური საკითხები; გაერო-ს როლი და ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სივრცეში; ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართალში და მისი აკრძალვის ეფექტიანობის პრობლემა; საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის აქტუალური საკითხები; საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტები, მათი რეგულირების საშუალებები და უახლესი პრაქტიკა; სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის რეალიზაციის მექანიზმები; თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო და საჰაერო სამართალი; საერთაშორისო დავების მშვიდობიანად მოგვარების მექანიზმები საერთაშორისო სამართალში. | არჩევითი | 6 | I |
| ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა | სასწავლო კურსი მოცავს ადმინისტრაციული პროცესის და სასამართლო პრაქტიკის ისეთ საკითხებს როგორცაა განსჯადობა და უწყებრივი ქვემდებარეობა, სახელმწიფო ბაჟი, საპროცესო ხარჯები, მხარისათვის სასამართლო უწყების და დოკუმენტის გადაცემა, მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში. მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში, სარჩელის სახეები ადმინისტრაციულ პროცესში. გამწესრიგებელი სხდომა, გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება და სხვა საკვანძო საკითხები. | არჩევითი | 6 | II |
| თანამედროვე საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა | კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საგადასახადო სამართლის პრინციპებს, გაეცნობიან სასამართლო პრაქტიკას და შეძლებენ კანონისმიერი ჩანაწერის რეალობაში აღქმასა და გაცნობიერებას. სტუდენტები შეიძენენ სიღრმისეულ ცოდნას საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმების, საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|--|--|-----------------|----------|------------|
| | <p>აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებული ურთიერთობების, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობის, საგადასახადო პასუხისმგებლობისა და საგადასახადო კონტროლის სამართლებრივი ასპექტების, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესისა და პირობების, აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ; სტუდენტები შემლენ საგადასახადო სამართალთან დაკავშირებული პრობლემების კვლევასა და საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმების ანალიზის.</p> | | | |
| <p>ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოება</p> | <p>სასწავლო კურსი შედგება 3 ძირითადი ბლოკისაგან. პირველი ბლოკის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სისტემა, კერძოდ, ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურები, საჩივრის ფორმა და საქმის განხილვის ეტაპები. მეორე ბლოკში ყურადღება გამახვილდება საქმის დასაშვებობის კრიტერიუმებზე - შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა, 6 თვიანი ხანდაზმულობის ვადა, საჩივრის ანონიმურობა, მიმართვის ბოროტად გამოყენება და საჩივრის დასაბუთებულობა. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა იმ ცვლილებების ანალიზს, რომლებიც ახლახანს განხორციელდა კონვენციასა და რეგლამენტში. მათ შორისაა, საქმეთა მორიგებით დასრულება, ცალმხრივი დეკლარაცია, <u>2018 წლის 1 აგვისტოს ამოქმედებული რეგულაციები, რომელთა თანახმად საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიენაჭათ ევროპული სასამართლოსათვის საკონსულტაციო დაკვანის მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილება.</u> ბოლო ნაწილი დაეთმობა საჩივრის შედგენასა და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ასპექტებს ჰიპოტეზური საქმეებზე დაყრდნობით.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>6</p> | <p>II</p> |
| <p>ინფორმაციის თავისუფლება და მისი პრაქტიკული ასპექტები</p> | <p>კურსი მოიცავ შემდეგ თემატიკას: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო იურისდიქცია, საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, საიდუმლო საჯარო ინფორმაციის სახეები, პერსონალური მონაცემები. კომერციული საიდუმლოება. პროფესიული საიდუმლოება. სახელმწიფო საიდუმლოება. საჯარო ინფორმაციის გაცემა და მასთან დაკავშირებული ხარვეზები, სასამართლო პრაქტიკა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>5</p> | <p>III</p> |

| | | | | |
|--|---|-----------------|----------|------------|
| <p>სამოხელეო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა</p> | <p>სასწავლო კურსი მოიცავს სამოხელეო სამართლის სისტემის მდგომარეობა საქართველოში, საჯარო სამსახურში მიღება, კარიერის დაგეგმვა და სამსახურებრივი დაწინაურება, საჯარო სამსახურიდან განთავისუფლება, საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება, საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი ინსტრუქცია, მოხელის ანგარიშგება და შეფასება, მოხელეთა სწავლების, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, კონკურსები და ატესტაციებს ჩატარება, საჯარო სამსახურის ბიურო, სახელმწიფო და პერსონალის მართვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საჯარო სამსახურში და მხილების ინსტიტუტი საჯარო სამსახურში.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>5</p> | <p>III</p> |
| <p>საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში</p> | <p>საკონსტიტუციო სამართალწარმოების კურსი მოიცავს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვას და დამუშავებას, ასევე ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვასა და დამუშავებას. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სამართალწარმოების ისეთ პრაქტიკულ ასპექტებს, როგორცაა სარჩელისა და შესაგებლის მომზადება, პოზიციის ჩამოყალიბების და არგუმენტირების ტექნიკა და სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურასა და შინაარსობრივ მხარეს - დასაბუთებისა და არგუმენტირების ნაწილს. კურსი ითვალისწინებს ყოველ კონკრეტულ ძირითად უფლებაზე/თავისუფლებაზე როგორც ევროსასამართლოს, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვას, მოსარჩელისა და მოპასუხის არგუმენტების დადგენას და სასამართლო სტანდარტის გამოვლენას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებული თითოეული უფლების შესახებ სტუდენტები გაეცნობიან საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროსასამართლოს უახლეს გადაწყვეტილებებს, ყოველი კონკრეტული უფლების შესახებ განხილული იქნება ერთი გადაწყვეტილება რომლითაც ევროსასამართლომ დაადგინა უფლებაში ჩარევა და ერთი გადაწყვეტილება რომლითაც მსგავსი ჩარევა არ დადგენილა. ამასთან, კონვენციის მუხლთან ერთად განხილული იქნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად. ამ გზით სტუდენტს ექნება შესაძებლობა პარალელი გაავლოს საკონსტიტუციო</p> | <p>არჩევითი</p> | <p>5</p> | <p>III</p> |

| | | | | |
|--|--|-----------------|----------|------------|
| | <p>მართლმსაჯულების ქართულ და ევროსტანდარტს შორის და სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას კონკრეტული უფლების საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით დაცვის შესახებ.</p> | | | |
| <p>ასოცირების შეთანხმება, კანონშემოქმედება და სამართლებრივი აპროქსიმაცია</p> | <p>საქართველო ასოცირების შეთანხმების განხორციელების აქტიურ ფაზაში იმყოფება. ამდენად, მიმდინარეობს საკანონმდებლო დაახლოების (აპროქსიმაციის) პროცესი; ინტენსიურად იწერება ევროპული სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ასეთი რეფორმები ეხება სხვადასხვა სფეროს, რამეთუ ასოცირების შეთანხმება მონოპოლიური ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებაა და მოითხოვს ცვლილებების განხორციელებას საზოგადოებრივი ურთიერთობების თითქმის ყველა სფეროში.</p> <p>ახალმა რეალობამ გააჩინა საჭიროება ახალი ცოდნით აღჭურვილი კადრების/პროფესიონალების მიმართ, რომლებმაც უნდა შესძლონ წარმატებით უპასუხონ საჯარო და კერძო სექტორში მოთხოვნად თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კანონშემოქმედება საჯარო სამსახურებისათვის დამახასიათებელი საქმიანობაა, თანამედროვე საქართველოში, კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის მოდელები და ღია მმართველობის წესრიგი, განაპირობებს კანონშემოქმედებითი საქმიანობის (ფართო გაგებით) გარკვეული ეტაპების გავლას საჯარო სამსახურში ოფიციალური პროცედურების წამოწყებამდეც. მაგ.: საკანონმდებლო წინანადებების მომზადება, შესაბამისობის ცხრილების მომზადება, RIA_ს განხორციელება.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებული ცოდნა ეფექტურად გამოყენებადია ყველა იმ სექტორში, სადაც კი მიმდინარეობს ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე საკანონმდებლო აპროქსიმაციის საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარება, კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების ჩამოყალიბება, ოფიციალური წარდგენა და რეგისტრაცია, განხილვა და მიღება.</p> <p>ასოცირების შეთანხმებამ სრულიად ახალი ასპექტები შემოიღო კანონშემოქმედებით საქმიანობაში. სამართლებრივი აპროქსიმაცია გახდა ახალი ტექნიკა კანონშემოქმედებით სივრცეში. ფასეულობით დონეზე, ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში, ხოლო წმინდა ტექნიკის თვალსაზრისით, სიახლეები გაიწერა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.</p> <p>სასწავლო კურსი არ წარმოადგენს მარტივ სწავლებას</p> | <p>არჩევითი</p> | <p>5</p> | <p>III</p> |

| | | | | |
|-----------------------|--|----------|----|-----|
| | <p>საკანონმდებლო/კანონშემოქმედებითი ტექნიკის შესახებ, არამედ, მოიცავს სწავლებას:</p> <ul style="list-style-type: none"> - ასოცირების შეთანხმებისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის შესახებ; - კანონშემოქმედებითი საქმიანობისას ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ნიშნების კონცეფციურ გააზრებას; - კანონშემოქმედებითი საქმიანობაში ქვეყნის მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირებას (სავაჭრო-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების ურთიერთკორელაცია და ბალანსირება); - კანონშემოქმედებით საქმიანობაში, ევროკავშირის მეორეული კანონმდებლობის სხვადასხვა ფორმებისადმი დაახლოების მეთოდების თაობაზე; - კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ნორმატიული აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასებას (RIA); - კანონშემოქმედების დროს ნორმატიული აქტების წერის ტექნიკის მსოფლმხედველობით და ანალიტიკურ დონეზე გააზრებას (შესაბამისობის ცხრილები). | | | |
| პრაქტიკა ² | <p>კავკასიის უნივერსიტეტში დამტკიცებულია კლინიკური პროგრამის ტიპური დებულება, რომელიც გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის პროგრამისა და საბაზო ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p> <p>პრაქტიკის ადგილისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სამართლის წყაროების ანალიზი. ნორმატიული მასალის ინტერპრეტირება. ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სამართლის წყაროებთან. კანონპროექტის შექმნა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. საერთაშორისო ხელშეკრულებათა იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში. სასამართლო პრაქტიკის, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე მოძიება-განზოგადება. კომპლექსური კაზუსების შექმნა და ამოხსნა. სამართლებრივად რთულ სიტუაციაში პრობლემის გამოკვეთა და მათ გადასაჭრელად მეთოდების სინთეზური გამოყენება. რთულ ტექსტში პრობლემატიკის გამოკვეთა და მთავარ ელემენტებზე ფოკუსირება. საკუთარი მოსაზრების, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, დამაჯერებლად წარმოდგენა და დასაბუთება. დებატებში მონაწილეობა როგორც იურისტ, ასევე არაიურისტ ოპონენტთან. სარჩელის, სააპელაციო</p> | არჩევითი | 10 | III |

² სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს პრაქტიკა ან პროფესიული თარგმანი

| | | | | |
|--|--|--------------------|-----------|------------|
| | <p>საჩივრისა და საკასაციო საჩივრის შექმნა. გადაწყვეტილების, განჩინებისა და განაჩენის პროექტების წერა. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების, ასევე დებულებისა და შინაგანაწესის შექმნა. ადმინისტრაციული აქტის შედგენა. ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება. საერთაშორისო სასამართლოებში წარმომადგენლობა. საადვოკატო, საპროკურორო, საწარმომადგენლო და სამოსამართლო უნარ-ჩვევების შესწავლა.</p> | | | |
| <p>პროფესიული თარგმანი: თეორია და პრაქტიკა</p> | <p>აღნიშნული სასწავლო კურსის გავლა სტუდენტს აძლევს შესაბამისი იურიდიული ტერმინების დაუფლების, თანამედროვე დარგობრივი თარგმანმცოდნეობის ძირითადი წესების გაცნობის, თარგმნის უნარებისა და ცოდნის ფორმირების მიზნით თეორიული და პრაქტიკული საბაზისო ცოდნის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, სტუდენტს მისცემს იურიდიული ტექსტების თავისუფლად თარგმნისა და მომავალ პროფესიონალურ საქმიანობაში გამოყენების საშუალებას. პროფესიაზე ორიენტირებული თარგმნის პრაქტიკული კურსის დისციპლინის შესწავლა სტუდენტს გამოუმუშავებს სათარგმნი ტექსტის ტიპის და მისი პრაგმატულობის განსაზღვრის ცოდნასა და უნარს; ზეპირი და წერიტი დარგობრივი თარგმანის აზრობრივი და სტილისტიკური ადეკვატურობის აღქმის უნარს სხვადასხვა საშუალებისა და ხერხების გამოყენებით.</p> | <p>არჩევითი</p> | <p>10</p> | <p>III</p> |
| <p>სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა</p> | <p>კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება მის მიერ საჭირო ფორმით გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს, ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება მაგისტრატურის დებულებით.</p> <p>მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის ხუთ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (ფორმატში) წარუდგენს სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის</p> | <p>სავალდებულო</p> | <p>40</p> | <p>IV</p> |

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | <p>დირექტორს. წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) შეფასების ფორმა და წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ სამაგისტრო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.</p> | | | |
|--|--|--|--|--|